გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

**ნავდუსი**

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება

გორში—ს. მგალობლიშვილთან. ქუთაისს—ვ. ქილაძის მაღაზიაში. ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში. ბათუმში—მ. ნათაძესთან. ახალციხეში—ბ-ნ ალექსი სალარიძესთან, ძველს ქალაქში.


ტფილისი, 13 ოქტომბერი

ერთ-გვარის ყალიბის მწერალნი არიან ჩვენში, რომელთაც ერთი სასაცილო ზნე სჭირთ, როცა საპოლემიკოდ გამობძანდებიან ხოლმე მოედანზედ. როცა ჰსურთ თავის მოპირის-პირეს წუნი რამ დასდონ, ვითომ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში აბრუ გაუტეხონ, — ამისათვის მარტო ერთი იარაღი აქვთ: აიღებენ და რის და ვის ათვალწუნებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთს სიტყვას: „ძველიაო“, და საქმე მათის ფიქრით გათავებულია და დამში მოსული. რა თქმა უნდა, ამ ნაირის ფარ-ხმლით მეომარი დიდის ტყვიაწამლის პატრონი არ უნდა იყოს, იმიტომ-რომ თვითონ ეგ იარაღი მეტის-მეტი ძველია და დღეს მარტო ბავშვებს-ღა აქვთ ხელში სათამაშოდ და მარტო იმათი შესაფერია და მოსახდენი.

გონებაში ჩავარდნილ ჭკვათა მყოფელ კაცისათვის-კი სათაკილოა მაგისთანა იარაღის ხელში ჭერა, იმიტომ-რომ არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი-კი ძველი.

ხომ ესეა, მაგრამ ზემოხსენებულ ყალიბის მწერლებმა იმოდენა მოედანი მოიპოვეს ჩვენს უმეცარს წვრილ-ფეხობაში, რომ ჩვენის ბულვარის აკადემიაში ეხლა კარგა საკმაოდ დიდი წრეა მკითხველებისა, რომელიცა ჰკმარობს ავისა და კარგის გასარჩევად მარტო ორს სიტყვას: „ძველია, ახალია“. ზემოხსენებულ ყალიბის მწერლებს ეს ორი სიტყვა დაუხვევიათ ხელზე და სხვა ყველაფერში რომ უღონონი არიან, თვითონ „ახლობით“ იწონებენ თავს და სხვას-კი „ძველობით“ ჰწუნობენ. მოგახსენეთ, ამისთანა მანერამ მწერლობაში დიდი ხანია იქაც თავისი დრო მოიჭამა, საცა დაიბადა და საცა პირველ გაჩნდა ქვეყნის სასაცილოდ, — ვამბობთ, იმისათვის, რომ საქმისა, თუ აზრის ავ-კარგიანობის გარჩევა მარტო ძველ-ახლობითა, ღირსების აწონდაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარ-ყოფა მარტო იმით, რომ ძველია, და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდ მოკლებულ წისქვილსავით. სასაცილოზედ მეტი არ არის, მაშ რა ეშმაკი და ქაჯია!...

ერთად-ერთი ბაზარი, საცა უვაჭრელად, ესე იგი, ფასის გამოუჩხრეკლად და გამოურკვევლად გადის ამისთანა სასაცილო საქონელი, ჩვენის ბულვარის აკადემიაა, არც საკვირველია.

„ბევრს ჭიქას კენჭიც ეყოფა,
უგუნურს დრამის წონანი“, —

სწორედ ამ აკადემიაზედ არის ზედ გამოჭრილი, ბევრს არას დაგიდევთ, ცოტასა ჰკმარობს და თუნდაც არ იკმაროს, ბევრის მოსათავსებელი გოგრაც არა აქვს. თუნდა ჰქონდეს კიდეც, რად უნდა? მეტი ბარგია. აქ ოღონდ სთქვით ვისზედმე და რაზედმე „ძველია“ და კმარა კიდეც: ორს კურდღელს ერთს გამოდგომაზედ დაიჭერთ. ჯერ იმას, რომ „ძველობით“ ხსენებულს მაშინვე შეჰბოჭავენ და სამარცხვინო ბოძზედ გააკვრენ: „დახე, დახე ძველი ყოფილა და არ ვიცოდითო“. აღარავინ ჰკითხულობს: „კაცო, რა ვუყოთ რომ ძველია! იქნება კარგია, იქნება მართალი მაგ ძველშია. თქვე დალოცვილებო, ერთი საქმესაც ჩახედეთ გულში!... ერთი მოსჩხრიკეთ, სინჯეთ, მთელს სიგძე-სიგანეზედ მოატარეთ ეგ თქვენი გონების თვალი და!...“ თქვენც არ მომიკვდეთ, იმ წვრილ-ფეხობის აკადემიაში ამ მჩხვრიმალისათვის ყურიც არავინ შეიბერტყოს, „ძველია“ და რაღა კითხი უნდა, არ ევარგებაო. დაჰკვრენ კვერს და დაასმენ ბეჭედსა.

ამ სახით ძველობით ხსენებული ხომ სამარცხვინო ბოძზეა გაკრული საჯაროდ და ერთი კურდღელი ეს არის, რომელსაც იგი აკადემია დააჭერინებს ხოლმე „ძველობით“ წუნ-მდებელს მწერალსა. ეს მწერალი ამავე დროს მეორე კურდღელსაც იჭერს წვრილ ფეხობის აკადემიის მწევრებითა. რაკი მწერლის მიერ ათვალ-წუნებული აზრი, საგანი, თუ კაცი ძველი ყოფილა, აშკარაა თვითონ წუნ-მდებელი მწერალი, მისი აზრი ახალი იქნება და, რაკი ახალია, კარგი უნდა იყოს. მაშ „ტაამ-ტაში“ ამ ახალსა-და მაშინ ნახეთ ის წვრილ-ფეხობის აკადემია თავის აკადემიკოსთან ერთად როგორ აიკრეფს კალთებს და რა ფერხულს და ბუქნას დაუვლის!...

რა თქმა უნდა, ჭკვათა-მყოფელი ნაწილი საზოგადოებისა, გონება გახსნილი მსმენელი ნანვითა და ნაღვლით უყურებს ამ ლიტერატურულს ბუქნას დარბაისელის აკადემიისას, მაგრამ მაინც ამ ბუქნისა და ფერხულისაგან აყენებული მტვერი ბევრს თვალს უბნელებს და ამ თვალთა დაბნელებაშია კიდეც ზოგიერთების იმედი გამარჯვებისა.

ჩვენ ყოველ ამას ვამბობთ იმიტომ კი არა, რომ ყოველივე „ძველი“ მოგვწონდეს და ყოველსავე „ახალს“ ვწუნობდეთ. ავ-კარგიანობა ახალშიაც არის და ძველშიაც. ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ეს ყოვლად მხსნელი წესი და რიგია ადამიანის წინ მსვლელობისა და ქვეყნიერობის ბრუნვა-ტრიალისა. მაგრამ ისიც დასავიწყარი არ არის, რომ ზოგჯერ „ახალსა ნამუდრაგალსა ძველის სჯობიან ჩანჩალი“. აი სად არის ის ბეწვის ხიდი, რომელზედაც გავლას სადი ჭკუა უნდა, მართლის სიყვარული და ვაჟკაცური გამბედაობა, ნამეტნავად ჩვენში, საცა უფროს—ერთი მარტო იმისათვის ჰთრთის და ჰძრწის, ბულვარის აკადემია რას მეტყვისო, მომიწონებს, თუ დამიწუნებსო, ესე იგი, ახლობაში ჩამომართმევს, თუ ძველობაშიო. ტკივილი ამაშია!

თუნდ ესეც არ იყოს, რით ვერ გაიგეს, რომ ეგეთი საპოლემიკო იარაღი ჭკვათა-მყოფელთათვის არა სჭრის. იგი გამოუდეგარი და ყოვლად უხეირო იარაღია და მერე სხვისაგან ნათხოვარი, სხვის გამონაცვალი. მაგას ერთს დროს ძალიან ხშირადა ჰხმარობდნენ რუ-

# ფელეტონი

## ოგოლს

მე რას მომტირი, ობოლო,
თვალ-ცრემლიანავ გაყრო?
იქნება დედას დაეძებ?
მე ის არ დამინახაო.
ვერცა რას გიშველ, იცოდე,
ვერცა რას შაგინახაო.

მე ნურას მომდევ, დამეხსენ,
წადი, შაბრუნდი შინავე,
შენი გაზდა და დარჩომა
ისევ შენ თავად ითავე;
გრილო მოგივლის დედასა,
სხავი გაგათბობს მზისავე;
ჩემთვის ვერ მიპატრონებავ,
ვის-რა უშველო, ვისა მე?
ეს არის ჩემი საშველი,
სხვას გეწამლები ვერასა;
მტერი და მოავე დარჩეს
ჩემ-ფერის ინამარასა.

ბაჩანა

1886 წ.

## სვანური ლეგენდები

### IX

### ამირანი.

(დასასრული*)

გავიდა ხანი. ამირანს ჭაბუკობა (გმირობა) მოუნდა. იამანს სთხოვა თავისი შვილები უსიბი და ბადრი სახლში დაეკავა, რადგანაც გაჭირების დროს იგინი უფრო ხელს მიშლიან, მინამ მეხმარებიანო. უსიბმა და ბადრიმ რომ ეს გაიგეს, ძლიერ შეწუხდნენ, შეეხვეწნენ ამირანს, იგინიც წაეყვანა საჭაბუკოდ; უშენოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიანო. დათანხმდა ამირანი და სამნივე წავიდნენ საჭაბუკოდ. იარეს ბევრი. ერთს მინდორში სამი დევი შეხვდათ. მათ მოაძახეს, რა კარგი ჭაბუკები იქმნებით, რომ ერთი თქვენთაგანი „კეკლუცა კეისრის ქალიშვილს „ქეთუ“ ნათბიანს იშოვნიდესო. იმისი შერთვა ბევრმა ჭაბუკმა მოინდომა, მაგრამ ვერავინ ვერ შესძლოვო. ამირანმა ჰკითხა, თუ სად არის ეს კეისარი, ან ქალიშვილი ქეთუ სადა ჰყავს. დევებმა უჩვენეს კეკლუცას საკეისრო და უთხრეს, რომ ქალიშვილი ქეთუ ჰყავს კოშკში, რომელიც ცაზეა ჩამოკიდებული ჯაჭვით. მიატოვეს დევები და გასწიეს კეკლუცას საკეისროსკენ. გზაზე ზღვას მიადგნენ. ერთობ დიდი იყო და გასვლა არ შეეძლოთ. აქვე ნახეს ერთი დევი—ქალი. ამირანმა ჰკითხა დევს, ეგებ სხვა გზა იცოდეთ კეკლუცას საკეისროშიო. მან მიუგო, რომ სხვა გზა არსად არ არის და თუ შემიამხანაგებთ, ზღვაზე მე წაგიყვანო. ამირანმა ქრისტე მისცა თავდებად. ქალმა მოიჭრა ერთი ნაწნავი და ზღვაზე გადვა ჰოლოკად. ამ ნაწნევზე გავიდნენ ჯერ უსიბი და ბადრი, შემდეგ ამირანი და ბოლოს დევი უნდა გამოსულიყო. შუა ზღვაში რომ მოაღწია, ჰკრა ამირანმა ხანგარი ნაწნევს და გასწყვიტა; დევი ზღვაში ჩავარდა. აქ ამირანი მეორედ გადუდგა ქრისტეს თავდებობას. ხმელეთზე ბევრი იარეს.

ერთს მინდორში ამირანი და მისი ამხანაგები შეხვდნენ კაცს, რომელსაც „ანდრეროზ“-ი ერქვა სახელად. ანდრეროზი ისეთი დიდი რამ იყო, რომ ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ება ურემს, რომელშიაც იწვა, აუარებელი ხალხი ეხმარებოდა, მაინც ძლივს მიჰქონდათ. ანდრეროზი მიჰყავდათ სამარხავად, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სიმძიმის გამო საფლავამდე ვერავინ მიიტანდა და დაუმარხავი დარჩებოდა. ურმიდამ ანდრეროზს ერთი ფეხი გადმოეარდნოდა და მიწაზე მიათრევდა. მისი სიმძიმე გუთანსავით თხრილს სტოვებდა მიწაზე. ამდენს ხალხს ვერ შეეძლო ფეხი ურემშივე შეედვა. ამირანმა რომ ყველა ეს ამბავი გაიგო, მოდვა ანდრეროზის ფეხს შვილდის „გოზა“ (კემდი გოზა) და ფეხი ურემში შეაგდო. ანდრეროზს გაუკვირდა, ვინ გამოჩნდა ასეთი ღონიერი, რომ ჩემი ფეხი ასე ადვილად შემოაგდო ურემშიო. ხალხმა ამირანზე მიუშვირა ხელი. ანდრეროზმა ამირანს ხელი სთხოვა, უკანასკნელს შეეშინდა, ვაჲ თუ ამისთანა ღონიერმა კაცმა მაგრა მომიჭიროს და ხელი დამამტვრიოსო; აიღო და ხელის მაგიერ ფიქალი ქვა (ჩერხა) მისცა. ანდრეროზმა მოუჭირა ფიქალს და წვენი გააშვებინა. ანდრეროზმა კიდევ სთხოვა ამირანს ხელი მიეცა. მისცა ამირანმა. ანდრეროზმა ქრისტე დააფიცა ამირანს, რომ მისი შვილი ეძმო და არაოდეს ეღალატნა. ამირანმა ქრისტე დაუყენა თავდებად. ანდრეროზი თავის გზაზე წაიღეს, მისი შვილი ამირანმა თან წაიყვანა, სადაც მიდიოდა.

იარეს ბევრი. ამირანს ძილი მოეკიდა და დაიძინა. იმის ძილში ანდრეროზის შვილმა ორი ირემი[10]) დაიჭირა ხელით და იქვე ჩამოჰკიდა ხის შტოზე. ამირანმა რომ გაიღვიძა, შეხედა ირმებს და იკითხა ამბავი. როცა გაიგო, რომ ანდრეროზის შვილს დაუჭერია, ეწყინა. ჯერ ყმაწვილია, ამას ჩადის, რომ დავაქკაცდება მე მაჯობებსო, სთქვა და განიზრახა მოჰკვლა და კიდევაც აასრულა. ამნაირად ამირანმა მესამედ გატეხა ქრისტეს თავდებობა. მოკლული ანდრეროზის შვილი აქ დასტოვეს და თვითონ გასწიეს კეკლუცა კეისართან. იარეს ბევრი და ბოლოს მივიდნენ იმ კოშკთან, რომელშიაც კეკლუცას ქალიშვილი ქეთუ იყო ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული, ამირანმა უთხრა უ-

*) იხ. „ივერია“ № 212.

10) ვარიანტი: ორი მწევარი მაღალის ღმერთისა.

სეთში, მაგრამ მალე ჰნახეს, რომ მარტო ბეღურების საფრთხალად თუ გამოდგება და დიდი ხანია თავი დაანებეს, ხოლო გამონაცვალს ჩვენები მიესივნენ და დაეპატრონნენ.

დაძველდა, ბატონებო, ეგ იარაღი, გაცვდა იმიტომ-რომ თავდაპირველადვე ხანგრძლიობის უნარი და ღონე არა ჰქონია. ქარისაგან მობერილი იყო და ქარმავე წაიღო და საწყალად ავისა და კარგისა, მართლისა და ტყუილისა დარჩა სიავე და სიკარგე, სიმართლე და სიცრუე და სხვა არაფერი. ნუ თუ ამის გამოცნობას დიდი ჭკუა უნდა, რომ ავ-კარგიანობა, ტყუილ-მართლობა არც ახალს ახლობით მიეწებება, არც ძველს ძველობით. ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითვეული თვისდა ბუნებისამებრ უნდა გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა.

ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მარტო მაშინ დაეჭვდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულობა და ფასი.

ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარ-მოკლებულ ფალავნისა. მწერლისა, თუ მთქმელის არარაობის, ცარიელობის უტყუარი ნიშანი მაგ იარაღის ხმარებაა. რაკი მაგ გვარს იარაღს ხელი წაავლო კაცმა, იმას თავი დაუკარით და „მშვიდობის მგზავრობა“ დაულოცეთ. იგი წასულია, გარდასრულია და ვერც სიმარდე წერისა, ვერც სუსხიანობა კალმისა ვერ იხსნის ამისთანა მწერალს ამ სამწუხარო ბედისაკენ. ნუ ენდობით და ერიდებით მაგ უღონო ღონესა. მაგ იარაღის მხმარებელი მწერალი გადაბერებულს გასათხოვარსა ჰგავს, ანუ, უკედ ვსთქვათ, საპატარძლოდ მორთულს ბებერსა და ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„ბებერსა, სასძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო“.

## ახალი ამბავი

*** ქართულ თეატრის დამთავრებას ძრიელ აჩქარებენ. პარტერის ბანი თითქმის სულ გათავებულია. დარბაზი, ლოჟები და კიდევ სხვა ოთახები უკვე ილესება. ეხლა თვით სცენასა ჰხურავენ ბანს.

*** 25 ოქტომბრიდამ შეუდგებიან თეატრისა და მთელის ქარვასლის ელექტრონით განათების საქმეს.

*** იმ დღეს ვაცნობეთ მკითხველებს, რომ დრამატიულმა მმართველობამ უნდა დაურიგოს როლები იმათ, ვინც წელს ახლად აპირობენ ქართულ სცენაზე სამსახურსაო. ამ ხანებში მმართველობას უკვე გაუნაწილებია როლები და განზრახვა აქვთ წარმოდგენა გამართონ ან რომელსამე კლუბში, ანუ კერძო სახლში.

*** ეს ორი-სამი დღეა, რაც საშინელი ავი სუნი ტრიალებს ძველარსენალის ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც ერთმანერთზე მიკრულია მრავალი შენობა და ბევრი ხალხიცა სცხოვრობს. მდვმურებიცა და გამვლელგამომვლელნიც ძრიელ შეწუხებულნი არიან ამის გამო, მაგრამ ჯერ არსაიდამა სჩანს ჯეროვანი მეცადინეობა ქალაქის მხრივ.

*** კეხვის თემს შეადგენს სამი სოფელი: კეხვი და ზემო და ქვემო აჩაბეთი. ამ თემს არა აქვს თავისი სკოლა, თუმცა მისთვის ადვილია სკოლის დაარსება. წინამძღოლი არა ჰყავთ რიგიანი, თორემ სკოლისთვის ადგილის ძებნა აღარც-კი უნდა რადგან მზათ არის ამ ადგილს ეძახიან ხატის მიწას, რომელიც უქმადა გდია. კარგა დიდი ადგილიც არი, შუა სოფელში სდევს და აუცილებლადაც აქ უნდა აშენდეს სკოლა, რადგანაც სწორედ შუა ადგილია. ამ თემში გლეხების გარდა თავადებიცა სცხოვრობენ, სახლდობრ, მაჩაბლები, რომლებიც დიდს შემწეობასა ჰპირდებიან და კიდეც შეასრულებენ დაპირებასა. ქვა და ქვიშა ზედვეა, ტყეც ახლო არის. თუმცა იგი სახემწიფოა, მაგრამ ამისთანა საქმისათვის არავინ დაუჭერს; თუ არა, იმედია, თავადი მაჩაბლები, როგორც ჰპირდებიან, ტყითაც შემწეობას მისცემენ და ხელს გაუმართავენ ამისთანა საქველ მოქმედო საქმეს. ადგილობრივი მღვდელი ძალიან მოწადინებულია და ყოველ შემთხვევაში უქადაგებს სკოლის გამართვას. ეხლა ბევრი აღარავინ მოიძებნება გლეხებში, რომ არ ესმოდეს სკოლის საჭიროება თავის შვილებისათვის.

*** ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად აზნაურობამა სთხოვა მთავრობას, რომ შემცირდეს ადგილმამულების რაოდენობა, რომელიც საჭიროა, რათა ხმა ჰქონდეს აზნაურსა თუ თავადს აზნაურთა არჩევანებში. ქუთაისში საჭიროა ეხლა 1124 დღიური მიწა. ტფილისაში—1000 დღიური. რადგანაც ამის გამო დღეს არჩევანებში ერთი მეორმოცედი ნაწილი თავად-აზნაურებისა ძლივს არის გარეული, და მიწას კი თვალ-საჩინო ფასი სდევს ამ გუბერნიაში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, განიზრახა არჩევანებზე ხმა მისცეს ყველა აზნაურთ, რომელთაც თავის მამულებზე ჰყავთ არა ნაკლებ 20 კომლისა დროებით ვალდებულ გლეხთა, ან რომელთაც, 20 კომლი გლეხი უყენიათ პირობით თავიანთ მიწებზე, ანუ აქვთ ტფილისის გუბერნიაში არა ნაკლებ 500 დღიურ მიწისა და ქუთაისისაში—არა ნაკლებ 400 დღიურისა.

*** გაზ. „Кут. Губ. Вѣд.“-ებსა სწერენ ცხისძირიდამა, რომ იქ მუშები ამტვრევდნენ ქვასა და ამ დროს მიადგნენ ერთს დიდს ბნელს გამოქვაბულს, რომელსაც შიგნითა კედლები ამოშენებული აქვს ოთხ-კუთხის თლილის ქვებით. ჯვარედინად აქვს თურმე გაკეთებული ოთხი გასავალი. ერთი მიდის ზღვისაკენ, სხვები გადიან სხვა გამოქვაბულებში. ერთი ამ გამოქვაბულებთაგანი კიდევ ენახათ და სხვებს-კი აღარ გამოსდგომოდნენ, ამოექოლნათ შესავლები. უეჭველია, ჩვენი არხეოლოგები ააშურებენ ამ ადგილის გაჩხრეკასა და დათვალიერებას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კავკავი. ოქტომბერს 7-ს. კავკავის მაზრას გამოუცვალეს ძველი მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი ბ-ნი კასტელიანოვი და იმის მაგივრად დააყენეს მაზრის უფროსად პოლკოვნიკი ბ-ნი გოლობიევი. ბ-ნი გოლობიევი ექვსის წლის წინადაც იყო კავკავის მაზრის უფროსათ. შემდეგ სხვაგან გადაიყვანეს და ეხლა ისევ კავკავის მაზრის უფროსად დანიშნეს. ახალი უფროსი კავკავის მაზრისა ბ-ნი გოლობიევი ამ ქამად დადის რევიზიაზედ მინდვრის ოსების ყველა სოფლებში. 3-ს ამ თვეს სადამოთი საათის თერთმეტზედ სოფ. ხუმელაგაში მოვიდა. მეორე დღეს, ე. ი. 4-ს ამ თვეს, ხუმელაგის საზოგადოება შეჰკრიბა. ყველანი გახარებულნი იყვნენ, რომ ახალი მაზრის უფროსი დაენიშნათ. ღმერთს ემადლობთო, ეუბნებოდნენ სოფლელნი ახალს მაზრის უფროსს, რომ დაგვიბრუნდით, თქვენ ყველას იცნობთ ჩვენში: კეთილ კაცსაც და უკეთურსაცაო. ბ-ნი გოლობიევი ყველას შესაფერს პასუხს აძლევდა და ეუბნებოდა: მეც მოხარული ვარ რომ ისევ თქვენის მაზრის უფროსად დამნიშნეს, რადგანაც ერთმანერთს დიდიხანია ვიცნობთ და ერთმანერთის ხასიათი ვიცითო და ამიტომ, მოიმედე ვარ, ჩვენს ერთმანერთის სიყვარულს დავამტკიცებთ საქმითაც და არა მარტო სიტყვით. იმედია ეცდებით და, როგორც წინად სცხოვრებდით მშვიდად, ისე იცხოვრებთ დღეის შემდეგაც. თუ გინდათ მშვიდობიანი ცხოვრება, თქვენვე უნდა მოგვცეთ შემწეობა და მაშინ ჩვენც ვეცდებით, რომ მოისპოს თქვენში ქურდობა და სხვა ავაზაკობა...

მართლაც და გასაკვირველია რომ, თითქო იმათთან დაბადებულა და შეზდილაო, ბ-ნი გოლობიევი ისე იცნობს ყველას და ისიც იცის, ვინ როგორის ქცევისაა. შემდეგ კანცელარიაში შებრძანდა ბ-ნი მაზრის უფროსი და დილის ათის საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდინ შინჯამდა სხვა-და-სხვა სასოფლო საქმეებს. ზოგ საქმის გამო კმაყოფილი დარჩა და უფრო მომეტებულ საქმეებზედ კანცელარიაში უკმაყოფილო შეიქნა. საქმეების გასინჯვის შემდეგ, თავისს თანადასწრებით ფიცი მიაღებინა სოფლის ამორჩეულს ხუთმეტს კაცს. ფიცი მიაღებინა იმაზედ, რომ იმ ამორჩეულმა თხუთმეტმა კაცმა უნდა შეადგინონ სია იმათი, ვინც სოფელში ქურდებია ანუ ვისზედაც ეჭვი აქვთ, რომ ქურდობას და ავაზაკობას სწევენ. ეს სია უნდა წარადგინონ ოლქის უფროსთან. ამასთა-

---

სიბს, შეხტი, ეგეგ ჯაჭვს მისწვდე და ხმლით ჩამოსწყვიტოო. უსიბმა სინჯა, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარა. ესევე სინჯა ბადრიმაც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვითონ ახტა, მისწვდა ჯაჭვს, ჰკრა თავისი ხანჯარი, გასწყვიტა და ცაზე ჩამოკიდებული კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. სამნივე კოშკში შევიდნენ.

ამირანმა და ქეთუმ დანახვისათანავე გაგიჟებით შეიყვარეს ერთი ერთმანერთი. შეიტყო ქეთუს მამამ კეკლუცამ ეს ამბავი, შეჰყარა თავის საკეისრო და სამ კეცად შემოარტყა კოშკს. ამირანმა, რომ შემორტყმულს ჯარს შეხედა, ცუდ გუნებაზედ დადგა; უთხრა უსიბს გასულიყო და ეომნა ჯართან. გავიდა უსიბი, ერთი კეცი ჯარი მოსწყვიტა, ბოლოს კეკლუცასთან მიაღწია; ამან სული შეუბერა უსიბს და მაშინვე დაახრჩო. მეორედ გაგზავნა ბადრი; ამანაც ერთი წყობა ჯარი დახოცა, ბოლოს კეკლუცასთან მივიდა, კეკლუცამ შეუბერა სული და ეგეც დაახრჩო. შეწუხდა ამირანი. თვითონ უნდა წასულიყო საომრად. მაშინ ქეთუმ შემდეგი დარიგება მისცა ამირანს: მამა ჩემს თავზე დოლებ—შირა ახურავს, რომელიც უკანიდამ ზედ კისერთან მობმულია ოქროს „განთხით“ (ძარღვი); როდესაც მამა ჩემთან მიხვიდე საბრძოლველად, ეცადე ეს განთხი როგორმე შეაჭრა, მაშინ დოლებ-შირას სიმძიმე წინ წასძლევს, თავს დააღუნებინებს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი ხანჯარი და მაშინვე თავს მოსჭრიო. თუ არ ასე, სხვებრ მამა ჩემს შენ ვერაფრით ვერ მოჰკლაო.

ამირანმა ქეთუს დარიგება დაიმახსოვნა. გავიდა ჯარში, ერთი კეცი ჯარი, რომელიც უსიბსა და ბადრის გადურჩა, დახოცა, ბოლოს კეკლუცასთან მივიდა. კეკლუცამ ჩვეულებრივ შეუბერა, ამირანი ჩოქებზე დაეცა. მარდად მოიმართა ამირანმა, მოუქნია ხანკარი და კეკლუცას ოქროს განთხი მიაჭრა. დოლებ—შირამ წინ წასძლია, კისერი გამოუჩნდა, შეუბრუნა ამირანმა მეორედ ხანჯარი, ჰკრა კისერზე და თავი წააგდებინა. შემდეგ შევიდა კოშკში ქეთუსთან და მწუხარება დაიწყო, რომ უსიბი და ბადრი ორივე დახოცილები არიან, უიმათოდ ჩემი შინ წასვლა შეუძლებელია, რა უნდა ვუთხრა იმათ მოხუც დედ-მამას, რომ არც ერთს შვილს შინ არ მივუყვანო. ქეთუმ ჰკითხა, გამოიცნობ თუ ვერა იმათ დახოცილ კაცებშიო. ამირანმა—კიო, რადგანაც უსიბს ბეჭებშუა მზეს მზგავსი ნიშანი აქვს და ბადრის—მთვარეს მსგავსიო. ჩაერთენ ამირანი და ქეთუ მკვდრებს, დაუწყეს ძებნა უსიბსა და ბადრის; როგორც იყო, ნახეს, ქეთუმ თავისი პირსახოცი გამონახა წაუსვა ჯერ უსიბს, მერე ბადრის და ორივენი გაცოცხლდნენ. გეხარდა ამირანს, რომ ქეთუ ცოლად იშოვნა და უსიბი და ბადრი ცოცხალი მიჰყავს სახლში. მოსდევევს ხელი კეკლუცას ქონებას, თან წამოიღეს და გახარებულნი წამოვიდნენ იამანთან. იამანსაც ძლიერ გაუხარდა, რომ ამირანი და მისი შვილები მშვიდობით და გამარჯვებულნი მოუვიდნენ სახლში. ამირანმა გადაჭრით უთხრა იამანს, რომ ამიერიდგან მისშვილებს არსად წაიყვანს, რადგანაც იგინი ვერ უწევენ ჰაბუკობას. ამირანი ამის შემდეგ ცალკე ჰაბუკობდა. მისი შემბმე და გამძლე არავინ გაჩნდა ქვეყანაზე. ერთს დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ლორი (კალენქარ) გაუშვა და სამი მუხა (ჯიჰრა) დატოვა. თავის სიცოხლეში ამირანმა ღმერთსაც ბევრი აწყენინა, მაგალითად, სამჯერ უარჰყო ქრისტეს თავდებობა და სხვა. ამ გვარის ქცევისათვის ღმერთმა დასაჯა იგი; შეაბა რკინის დიდი ჯაჭვი და რკინისავე პალოს (წამ) მიაბა (ლეგენდა არ უჩვენებს ადგილს, სადაც ამირანი დაბმულია). ამირანთან დააბა ღმერთმა აგრეთვე „ყურშაც“ (ძაღლის სახელია), რომელსაც ბევრი ღვთის საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. წლის განმავალობაში ამირანი და ყურშა ყოველ დღე სჭიმავენ რკინის ჯაჭვს და პალოს ზევით და ზევით სწევენ იქამდი მიიყვანებენ პალოს, რომ ესეც არის ამოძრება მიწიდამო, მაგრამ ამ დროს ღვთის განგებით ჩიტი მოფრინდება და პალოზე დაჯდება. გულ-მოსული ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის კვეროს, ჩიტი აფრენას მოასწრობს, კვერო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდი ჩაარჭობს. ასე იმეორება ყოველს წელს.

ყურშა ორბის ლეკვია. ორბს ხევანების სიტყვით სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე. დედა ორბი ამ ლეკვს გამოჩეკისათანავე აიყვანს ძლიერ მაღლა, მაღლიდგან ჩამოუშვებს და მიწაზე დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ გაზარდოს. ხსენებული ყურშა ჩამოგდების დროს უშოვნია ერთს მონადირეს და კიდევაც გაუზრდია. მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისეთი გამოდგა თურმე, რომ ორს ნახტომზე ჯიხვს დაეწეოდა, მესამე ხტომას სათაკილოდ სთვლიდა. რაკი ბევრი ჯიხვი გააწყვლა, ამისათვის, როგორც ნათქვამია, ღმერთმა დააბა იგი ამირანთან. ამ ყურშაზე შემდეგი ლექსია დარჩენილი ხალხში, რომელშიაც სხვათა შორის გამოხატულია მისის პატრონის, მონადირის გლოვა, როდესაც ყურშა დაჰკარგვია.

ყურშაო, ჩემო ყურშაო!
ყურშა გამქარვა (გამიქრა) გამქარვა,
შუა-ღამითა, ღამითა
ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს,
ღვაჭარს (ვაჭარს) მიჰყავდე, მიჰყავდე!
ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს,
ქაჯმა მომპარა, მომპარა! (მოგიპარა)
ყურშას ყურ-ტუჩი, ყურ-ტუჩი
ოქროს გასხია, გასხია.
ყურშას თვალები, თვალები
თვარესა ჰგავდი, თვარესა,
ყურშას ყიფილი, ყიფილი (ყეფა)
რუხუნსა ჰგავდი ცისასა.
ყურშას ტოტები, ტოტები
კალოს ვედენი, ვედენი. (ოდენა)
ყურშას ნახტომი, ნახტომი
დიდი მინდორი, მინდორი.
ყურშას საჭმელი—საჭმელი,
პურის ქაბაბი—ქაბაბი.
ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს
ქერის ნაბურჯი (?) ნაბურჯი!
ყურშას სასმელი—სასმელი
ღვინო ბადაგი—ბადაგი.
ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს
ღვიარი წყალი—ღვიარი (მღვრია)
ყურშას ლოგინი—ლოგინი
საბან ბუმბული—ბუმბული.
ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს
ბურდის ნაძოში—ნაძოში!
ყურშაო, ჩემო ყურშაო!
ალმა ლომიხარ, ლომიხარ,
ჩალმა კაკაფი—კაკაფი (კაკაბი).
ხმელეთს ფალგანდი—ფალგანდი.
ძულგას(ზღვაში) კვალმანდი—კვალმანდი (ხო-
ჩემო ყურშაო, ყურშაო! (მალდი)
ყურშა ვიტირე—ვიტირე,
ყურშა ვიგლოვე—ვიგლოვე,
ერთს წელიწადს—ერთს წელიწადს.

თავისუფალი სვანი.

ნაეე, რასაკვირველია, თვალყური უნდა ეჭიროთ შემდეგისათვისაც საეჭვო კაცებზედ და, თუ ვისმე ყალბობა გამოაჩნდა, თვით იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი. ამნაირად თხუთმეტ თხუთმეტი კაცი და ესე დაფიცებულები, ყველა მინდვრის ოსების სოფლებში იქმნებიან დაყენებულნი. შემდეგ მამასახლისის ამორჩევაზედ შეექმნათ ლაპარაკი. ზოგი გაიძახოდა ხალხში რუსი გვინდაო და ზოგმა ბ-ნ უფროსს ერთი კაცი უჩვენეს, ზაქარ ქოქაევი, ეს დაგვიყენე მამასახლისათაო, მაგრამ მაზრის უფროსმა უარ ჰყო; მე დიდი ხანია ვიცნობ მაგას და არ გამოგადგებათ, მამასახლისის თანამდებობის აღსრულება არ შეუძლია მაგასაო. მამასახლისად ყაზახს გამოგიგზავნითო, ბძანა ბ-ნმა უფროსმა. უფროსი სხვასაც ბევრს რამეებს დაგვპირდა. ოთხ საათზედ ისადილა და სადილს შემდეგ გაემგზავრა სოფ. შინაევში იქიდგან სხვა სოფლებში წავა რევიზიაზედ.

ქართველი ოსებში

---

**სოფ. საქარა, 11 ოქტომბერს.** (შორაპნის მაზრა) ორი კვირა მეტი იქნება, რაც რომ საქარაში შემოგვეპარა ერთი სენი, რომელსაც სახელად „ხურვებას" ეძახიან. ეს ავადმყოფობა მართლა საშაგელი რამ ყოფილა. რომელ ოჯახსაც ესტუმრება, ისე არ წავა მასპინძლიდგან, რომ სამი სული მაინც არ იმსხვერპლოს. ამის მაგალითები ბევრი არის და ამიტომ ბევრ საქარელს კაცს ჩააცვა ამ სენმა შავი ტანისამოსი და, რასაკვირველია, სოფ. ქვედა საქარლები, უმეტესი რიცხვი მათი, მოწყენილია და დაღონებული. ეს ავადმყოფობა ქალაქ ადგილას რომ გაჩნდეს კიდევ სხვაა; ექიმს მალე მიაშველებენ და შესაძლებელია, რომ კიდევაც მოსპონ, მაგრამ რა უნდა ჰქნან სოფლელებმა, რომელთაც არ შეუძლიათ ავადმყოფების მოვლა. როგორც გახდება ავად კაცი ამ სენით, მაშინვე ავადმყოფს დააწვენენ მოშორებით იმ სახლზედ, სადაც თვითონ მშობლები სცხოვრებენ. უბედურ ავადმყოფს ისე ამოსდის სული მოუვლელობით, რომ არავინ მიეკარება: რომ მოსწყურდეს, წყალს არ ასმევენ, რომ მოშივდეს--არ აჭმევენ, ხეირიანად საცვალს არ უცვლიან და სხვა ამისთანები... მოდი და ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა კაცმა და მერე ისიც ავადმყოფმა, იცოცხლოს-და. ეხლა მაინც ზოგიერთები ისე არიან დაშინებული, რომ ციებით რომ გახდეს კაცი ავად, მაინც ხურვება ჰგონიათ და არ ეკარებიან ავადმყოფს სიახლოვეს. სოფლის ხალხს არ დაემართება ამისთანა უწესოება... აქეთ ორი ექიმი გვყავს. ერთია მაზრის ექიმი, მეორე—ბ-ნი ივანოვი. ივანოვი მრეწველთა კამპანიის ექიმია. აფთიაქიც გვაქვს დაბა ზესტაფონში. თვით ივანოვსაც აქვს კამპანიისათვის აფთიაქი, რომლიდამაც ყველას იაფად აძლევს წამლებს.

წლევანდელი მოსავალი სოფელ-საქარაში, თუმცა გვალვამ გააფუჭა, მაგრამ შარშანდელზე უკეთესია ღვინოც და სიმინდიც.

სიმონ საქარელი

---

**ქობულეთი, ოქტომბრის 10-ს.** სექტემბრის 12-ს აქ ერთი უბედურება მოხდა. სოფელ სამებიდამ ერთმა სოფლელმა წაიყვანა თავისი მეუღლე ცხენით დაბა ქობულეთში თავის ხისიმის ანუ მოკეთეს სანახავად, რომელიც ავად იმყოფებოდა. ნახვის შემდეგ, რასაკვირველია, გამგზავრენ ისევ სახლისკენ. გზაში შეხვდათ ახლო მეზობლის ყმაწვილი, რომელიც აგრეთვე თავის სახლში მიდიოდა. რადგანაც სოფელ კაცს ბაზარში საქმე ჰქონდა, სთხოვა ამ 15 წლის ყმაწვილს კაცს გაჰყოლოდა მას მეუღლეს სახლამდე. მივიდნენ მგზავრები მდინარე კინტრიშზედ, სადაც დანიშნულია სოფლელების გასავალი ფონი. აქ კინტრიში ორ ტოტად გაიყოფება. მგზავრმა ქალმა შეისვა ყმაწვილი ცხენზედ და პირველ ტოტში მშვიდობიანად გავიდნენ, მაგრამ, როგორც მიატანეს მეორე ტოტს, ნახეს, რომ საშინლად ადიდებული მოდიოდა და არა-მარა თან მოჰქონდა. შეშინებული მგზავრები სანაპიროზედ უკან დაბრუნდნენ, პირველ ტოტს მოატანეს, მაგრამ ეს პირველი ტოტიც საშინლად ადიდებულიყო. ამასობაში მდინარის აქეთ და იქით ნაპირას გაჩნდნენ მგზავრი სოფლელები. შეწუხებულმა და ორ წყალშუა დარჩენილმა ქალმა დაუძახა მოყურადეებს: მშველო, რა ვქნა, დავრჩე აქ თუ ჩამოვიდე წყალში, მირჩიეთ როგორ სჯობიაო. მოყურადეებმა დაუძახეს, ჩამოდი და გიშველითო. ამ სიტყვებით გამხნევებულმა ქალმა გაჰბედა და შევიდა წყალში. ჩასვლისათანავე მოიტაცა წყალმა ცხენი და ყმაწვილი გადავარდა წყალში. შემდეგ ქალიც გადავარდა; ცხენიც მალე დაარჩო გაონავრებულმა წყალმა და ნაპირს გამოაგდო. მოყურადე სოფლელები არხეინად ავიდნენ სოფელში და თავიანთ დაბალის ბუნების გამო ვერა უშველეს-რა გაჭირებულს მგზავრებს. ამბობენ, მდინარეს გორა გამოუნგრევია სადმე ავდრების დროს და იმიტომ იყო ისე ადიდებულიო. ქალის სხეული მძივს სოფლის შემწეობით მესამე დღეს იპოვეს, ყმაწვილის გვამი-კი მეხუთე დღეზედ გამოჩნდა.

გულ-ბლა კაიკაციშვილი

---

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მიუჩქდა და მინელდა თითქო პოლიტიკის ამბებიცა. საიმისო ამ ბოლოს დროს აღარა მომხდარა-რა, თუ კაფთარელისა და ბულანჟეს ისტორიას არ მივიღებთ მხედველობაში.

ფერდინანდი კობურგისაცაო, ამბობს „Новое Время", არხეინად ზის ბოლგარიის ტახტზედ და მთავრობს თავისთვისა. ოსმალეთი ყურსაც არ იბერტყავს და გულ-ცივად უცქერის ფერდინანდს და ბერლინის ხელ-შეკრულობის დარღვევაც არაფრად მიაჩნიათ, არც ბერლინსა და ვენაში, არც ლონდონსა და რომში. თავ-ნებობა კობურგისა არავის გულს არ უმღვრევს, თითქო არაფერი ამბავი არა მომხდარა-რაო.

გაზეთი ამბობს, რომ დიდხანს არ გასტანს ასეთი მშვიდობიანობა და კაცთა-შორის სათნოება და მალე, ძალიან მალე მოითხოვს დაკმაყოფილებას ის, ვის ინტერესებსაც არღვევს ასეთი გარჩევა და გულ-გრილობა ევროპისა ბოლგარიის საქმეშიო.

დროც არის, ვგონებთ.

**

გაზეთ „Новости"-ში დაბეჭდილი იყო წერილები ნემიროვიჩ-დანჩენკოსი ვოლგის გუბერნიების ყოფა-ცხოვრების თაობაზე. ავტორი ამბობს, რომ ამ გუბერნიებში ყველგან ერთი და იგივე ჩივილი ისმისო. ეს ჩივილი ის არის, რომ პური ბევრი მოგვივიდა და არ ვიცით-კი, სად წავიღოთ და ვის მივყიდოთო.

არ ვიცით, რა ვუყოთ პურსაო, აი რას ამბობს ყველა მემამულე და პურის პატრონი ვოლგის გუბერნიებში.

— პური ბევრია, თავზე საყრელია, მაგრამ რა გამოვიდა, პური ხომ ვერ შეგვმოსავს, ჩივიან ყველგან.

— რა ამბავია?

— ბაზარი არ არის, გასავალი არა აქვს, გვებნება ბრაზ-მორეული მემამულე.

— ცოტას იძლევიან?

— არაფერსაც არ იძლევიან. მსყიდველი არავინ არის სულა. ჩაყარე პური ბეღელში და უცქირე, სანამ მოგეწყინებოდეს. თაგვებს დაუდგათ ბედნიერი დღე.

— წელს არის აგრე, თუ წინადაც ყოფილა?

— წელს მეტის-მეტია. ყველას გალიცლიცებული აქვს ამბრები და არ იცის, რა უყოს ამ აუარებელს პურს.

**

ბედნიერები ისევ მეიჯარადრენი, ტეხნიკები, ადვოკატები და სხვა-და-სხვა მოჭახრაკენი თუ არიან. იმათთვის არცა თოვლს და არცა სწვიმს. ერთს ამისთანა მოჭახრაკეზე ვიდაც ბ—ზე ამბობს „Новое Время" რომ

ამ ბ-ნს აულია იჯარით უფიმის რკინის გზის კეთებაო. სხვათა შორის ამ ბ-მა გააკეთა ხიდი მდინარე ბელაიაზე და ასეთს საიჯარადრო საქმეებში მარტო ერთს ზაფხულს მოიგო 900,000 მანათი.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის შინაური მდგომარეობა მეტად გაძნელებულია იმის გამო, რომ მუშა ხალხი ძალიან გაჭირებულია და ულუკმა-პუროდ რჩება. ამიტომაც მრავალს ადგილას მუშაობას მოკლებულნი დემონსტრანციებს ჰმართავენ, ანარხისტები თავიანთ მოღვაწეობას თან-და-თან აძლიერებენ. ირლანდიის საქმეც უფრო-და-უფრო აწუხებს ინგლისის მმართებლობას.

ამ გვარი შინაური მდგომარეობა, რასაკვირველია, ხელს უშლის მმართებლობას მონაწილეობა მიიღოს ევროპის საქმეთა მსვლელობაში. მმართებლობა იმოდენად ხელ-შეკრულია, იმოდენად ჩაფიქრებია შინაურს საქმეებს, რომ ვერც ერთს თვალ-საჩინო გარეშე საქმეში ვერ ჩაჰჭრევია, ასე რომ ინგლისის შინაურმა მდგომარეობამ ძალიან შეახერა ევროპის საქმეთა მსვლელობა.

რა არის იმისი მიზეზი, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა თვით ინგლისში ეგოდენად გაძნელდა, რომ იმ ქვეყანას, რომელიც ამოდენს ალებ-მიცემობს, რომელსაც ამოდენი ნაწარმოები გამოსდის ხელიდგან, დღეს იმოდენა სამუშაო არა აქვს, რომ მკვიდრთა უმრავლესობა უსაქმოდ და მაშასადამე უსაშუალოდ არ დარჩეს.

ამის მიზეზი თვით ინგლისი-კი არა, არამედ სხვა სახელმწიფოებია, რომლებიც ინგლისს კამათობასაც უწევენ მრეწველობასა და ვაჭრობაში და სხვა-და-სხვა პროტექციონულ ზომებით გასავალს არ აძლევენ ინგლისის მრეწველობას. ზოგიერთნი სახელმწიფონი თან-და-თან უმატებენ ბაჟს უცხო საქონელზე, ასე რომ სხვის საქონლისა და ნაწარმოების გავრცელებას ხელს უშლიან. ამიტომაც, რასაკვირველია, ინგლისი იძულებულია შეამციროს მრეწველობა; ეს აქედგან წარმოსდგა ისა, რომ ინგლისის მუშები უსაქმოდ რჩებიან.

რასაკვირველია, ინგლისმა უნდა ეძიოს ბაზარი თავისის მრეწველობისათვის და მით უნდა მისცეს მუშა-ხალხს საშუალება ცხოვრებისა. ამისთანა ბაზრები კოლონიებია, მაგრამ საქმე ის არის, რომ აქაც ეცილებიან სხვა სახელმწიფონი, რომლებიც მოწადინებულნი არიან, რაც შეიძლება, მეტი კოლონიები იშოვონ თავიანთვის.

თუმცა ეკონომიური საქმე მეტად საძნელოა, მაგრამ ინგლისს იმედი აქვს რამენაირად გასწვდეს მას. მომეტებულს საფიქრებელში ჩაუგდია მმართებლობა ირლანდიის საქმეს; ირლანდიელთა უკმაყოფილება თან-და-თან მატულობს და, ვინ იცის, შესძლებს თუ არა ძლიერი და მოსერხებული მმართებლობა ინგლისისა მშვიდობიანად დაასრულოს ეს საქმე. ინდოეთში ირლანდიელნი და ინდოელნი ავრცელებენ პროკლამაციებს და ჰქადაგებენ ინგლისის წინაღმდეგ.

**ამერიკა.** ამერიკაში დიდი მზადებაა პრეზიდენტის არჩევანისათვის. დემოკრატებს და რესპუბლიკელებს თავ-თავიანთი კანდიდატები უკვე ჰყავთ. დემოკრატებს კლეველენდის მხარე უჭირავთ, ხოლო რესპუბლიკელებს ჯონ-შერმანისა.

**იტალია.** რომის პაპის ორმოც-და-ათის წლის იუბილეის გამო მრავალნი მლოცავნი მიდიან რომსა. საფრანგეთიდგან მოვიდა 1,800 კაცი,—რომლებსაც მიეგებნენ ვოგზალზე გრაფი ალბერტ მუნი და „კათოლიკე საზოგადოებათა" დეპუტაცია. პაპს განზრახვა აქვს უფასოდ მისცეს სადგომები მლოცავებს. იტალიის მმართებლობამ სრული მფარველობა აღუთქვა მლოცავებს, მაგრამ სამაგიეროდ თხოულობს სრულს მშვიდობიანობას და წესიერებას.

**ისპანია.** ვილანცევაში, ბარცელონის პროვინციაში მუშებმა გაჰმართეს მანიფესტაცია, რათა თავისი უკიდურესი მდგომარეობა ეცნობებინათ მთავრობისათვის. მუშები დადიოდნენ ქუჩებში და იძახოდნენ: „პური და სამუშაოვო". ქალაქის მერმა მიჰმართა სიტყვით და უთხრა, წესიერებას ნუ დაარღვევთო და ჩემის მხრით ყოველს ღონის-ძიებას ვიხმარო, რომ თქვენი გაჭირვება შევამსუბუქოვო.

**გერმანია.** როგორც გაზ. „Temps"-ს ატყობინებენ, გერმანიის მმართებლობამ გაუგზავნა დარიგება ელზას-ლოტრინგის გამგებლებს იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის საზღვარზე უფრო თავაზიანად და მშვიდობიანად იმოქმედონ.

— იუწყებიან, ვითომ ფრიდრიხსრუეში ბისმარკსა და კრისპის ჰქონდათ მსჯელობა მასზე, თუ რამდენად შესაძლებელი და მოსალოდნელია ომი გერმანიასა და საფრანგეთს შორის, როგორ უნდა დაიცვან პოლიტიკური თანასწორობა ხმელთა შუა ზღვაზე: აგრეთვე ულაპარაკნიათ ბოლგარიის საქმის შესახებაც. ბისმარკს განუმარტავს გერმანიის შეხედულება ბოლგარიის საქმეზე. ბისმარკის აზრით, თუ რუსეთმა ბეჯითად იმოქმედა, მაშინ რუსეთს უნდა მივმართოთ და ვკითხოთ გადაწყვეტილი აზრი ბოლგარიის შესახებ და ვურჩიოთ, რომ ევროპის მშვიდობიანობას ნუ ემუქრებაო. იმ ნოტაში, რომელიც რუსეთს უნდა გაუგზავნოთ, ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ საჭიროა კონფერენციის შეკრება ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად.

გერმანია იმოდენად შეწუხებულია ტახტის მემკვიდრის ავადმყოფობით, რომ ბისმარკს, რომელიც თითონაც ვერ არის ჯან-მრთელად, არ შეუძლიან მაინც-და-მაინც გაბედულად იმოქმედოს გარეშე პოლიტიკაში, რადგანაც მემკვიდრის ავადმყოფობას შეუძლია სხვა მიმართულება მისცეს საქმეთა მსვლელობას.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიელ მინისტრებს გადაუწყვეტიათ არტილერიის გაძლიერება და მომატება.

**მაროკკო.** იწერებიან, ვითომ მაროკკოს სულთანი უკეთ არისო.

## წვრილი ამბები

აი რა საშიშია ჯავთარის ყოლა სახლში, მერე ისეთს სახლში, სადაც ძუძუმწოვარა ყმაწვილებია: ერთს ოჯახში გერმანიაში ჰყოლიათ ჯავთარა. ჯავთარა ძალიან მოშინაურებული იყო და მეზობლებისასაც გადადიოდა ხოლმე. ერთხელ მივარდნილა ჯავთარა მეზობლებთან და შესულა იმ ოთახში, სადაც პატარა ყმაწვილს სძინებია მარტო. ჯავთარა შემსტარა ყმაწვილის აკვანზე და დაუწყვია ყმაწვილისთვის თვალების კორტნა. სცოდავს ყმაწვილს საშინელი ანთება მოსვლია ქუთუთოებისა, და იქნება, სამუდამოდ თვალებიც გაუფუჭდესო.

— გერმანიაში ერთს პატარა ყმაწვილს ხელი მოჰყოლებია რაღაც მაშინაში და ისე გაუფუჭებია, რომ სულ გადაჰყვლეფია კანი. ექიმს უთქვამს, რომ აპერაცია უნდა გაუკეთდესო. ხოლო თუ გინდათ, რომ აპერაცია საჭირო არ იყოს, ცოცხალის ადმინის ხორცი უნდა იშოვოთო. ყმაწვილის დედას უთქვამს, რომ აი ჩემი ხორცი და მოსჭერი, რაც საჭიროაო. ამ თავ-გაწირვით გმირს დედას დაუხსნია თავისი შვილი. დედას წყლულნი მალე მორჩენია და ეხლა სრულიად კარგად არისო.

— ინგლისის ერთს მაღანში უპოვიათ დიდი ნაჭერი ოქროსი, რომელიც იწონს თურმე ორმოც-და-თერთმეტს გირვანქას. ეს ნაჭერი ოქროსი დაუფასებიათ 26,000 მანეთად.

— ქალს ემილია კემპინს, რომელსაც იურიდიულ მეცნიერების დოქტორობა მიუღია, გაუმართავს შვეიცარიაში იურიდიული კანტორა, სადაც ყველას შეუძლიან იაფ-ფასად მიიღოს რჩევა და დარიგება სხვა-და-სხვა იურიდიულს საქმეების თაობაზე.

— აქამდე ამერიკელები ისეთს სახლებს აშენებდნენ და დღესაც აშენებენ, რომელსაც სადაც გინდათ გადაიტანთ და წაიღებთ თავის მდგომარეობით. ახლა ამ უცნაურის ქვეყნის ტეხნიკებს ერთი ისეთი რკინის ხიდი გაუკეთებიათ, რომ გინდათ ზემოთ ასწიოთ წყალზე, გინდა ქვემოთა.

— რომში მიწის თხრის დროს უპოვიათ დიდი ძველის-ძველი სახლი, ძველებურს ყაიდაზე აშენებული.

— ნიუ-იორკში გამართულია თურმე ჩინური თეატრი. სათეატრო დასში 50 არტისტი კაცია, რომელნიც ქალების როლებსაც ასრულებენ. ჩინურ დრამებში 3 და 5 მოქმედება-კი არა, რამდენიმე ათი და ოცი მოქმედებააო.

## დეპეშა
10 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათა უავ-

გუსტოესნი ძენი უკედ იმყოფებიან; ავადმყოფობა სრულიად არაფრით არ არის გაძნელებული.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. გუშინ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა და ინგლისის ელჩმა ხელი მოაწერეს სუეზის არხის ნეიტრალობის კონვენციას.

გადასწყვიტეს რომ სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს 28 მილიონი ფრანკი მოაკლონ და ამ სახით შეამცირონ ბულანჟეს დროს შედგენილი ბიუჯეტი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 9-Ს ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ
ᲤᲐᲡᲔᲑᲘ:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $178^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 273 |
| — მეორისა . . . . | — » | 99 | $247^3/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | — » | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | $99^1/_2$ | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | $83^3/_4$ | — » |

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

**ნიხრი**

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი ბურთი რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
ბურა 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » $2^1/_2$ »
ლონის წითელი ბურთი 1-ის ხარის. 5 »
» » 2— $3^1/_2$ »
» » 3 » 3
ჯვარის მამის ბურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »
სუკი . . . . 13 »
ცხვრის ხორცი . . . 7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. » »
» 2 » » »

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲓ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიაწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიაწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აგვი რომ ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲐ

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 1 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | ხამტრედია . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელოგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელოგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| ხამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## ᲙᲔᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲛᲠᲗᲝ ᲬᲘᲒᲜᲗ-ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთსაკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არაფითარი ფასი არ გამოერთმევა.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I ᲛᲔᲕᲠᲔᲕᲐᲖᲔ

II ᲓᲘᲓ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ

**ფასი ორი შაური.**

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და **ქუთაისში** ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲚᲐᲛᲐᲚᲘ

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. 25 ᲙᲐᲞ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქილილა და დამანა, ვახტანგ მეფისა . . . . . . . . . მ. 3 კ. »
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. 1 50
სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . » 50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . 1 »
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . 1 »
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . » 50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. » 30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. » 40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . » 30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . . » 20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . » 10
სურამის ციხე, ჭონქაძისა . . » 20
ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . » 30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. » 1
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. » 20
ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . » 5
იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. » 25
განკიცხული, მოჩხუბარიძისა . » 50
ციკო, მისივე. . . . . , . » 30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . » 10
მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . » 10
ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . » 20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . » 10
ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . » 1
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . » 51
არითმეტიკა, დიდებულიძისა. . » 50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . »
წითელი ფარანი, თარგმანი. . » 15
ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. » 2
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . » 10
ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა » 5
არსენას ლექსი . . . . . » 5
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . » 15
ქართული ანდაზები. . . . » 10
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . . » 4
ირაკლი მეორის გლოვა . . » 5
ალი, ნ. ლომოურისა . . . » 30
დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . » 20
ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . » 40
სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . » 5
მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . 1 »
თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . » 60
რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . » 30

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები: მ. კ.
დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . „ 30
ბუნების კარი, მისივე . . . „ 75
კოკორი, მისივე . . . . . „ 10
კონა, მისივე . . . . . „ 50
ხომლი, მისივე . . . . . „ 30
კუნწულა, მისივე . . . . „ 40
დედანი, მისივე . . . . . „ 30
შალვას თავ-გარდასავალი, გედ. ცახელისა. . . . . „ 20
ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. . . „ 30
თხზულებანი ანტონოვისა . . 1 „
მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . „ 60
სამ-გვარი საყვარელი, აკაკისა . „ 30
ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით . . . . 3 „
მშური სიტყვა . . . . . „ 20
ნაკვესი . . . . . . . „ 20

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

**რამდენიმე სიტყვა**

ბ-ნი ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ

„ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝ.

აკაკისა

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ორი შაური

მთაწმინდაში სახლია გასასყიდი სამი ოთახი სამზარეულოთი და ბაღჩით. სულ ორმოც-და-ათი საჟენია. ორმოც თუმნად მივცემთ. ვისაც სურს სყიდვა, იკითხოს ავჭალის ქუჩაზე, სახლის №-ი 24
(3—3)

# НОВАЯ КНИГА:

**„СБОРНИКЪ ЗАКОНОВЪ ЦАРЯ ВАХТАНГА VI“.**

Изданіе **А. С. Френкеля**, подъ редакціею **Д. З. Бакрадзе.**

Тифлисъ. 1887 г. **Цѣна 3 р. 50 к.; съ пересылкою 4 р.**
Продается: въ Тифлисѣ—у издателя **А. С. Френкеля** (Мостовая ул., д. Маккера) и въ мѣстныхъ книжныхъ магазинахъ, а въ С. Петербургѣ и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ П. И. Анисимова.

**Выписывающіе непосредственно отъ издателя, за пересылку не платятъ.**

СОДЕРЖАНІЕ КНИГИ:

1. Предисловіе А. С. Френкеля. . . . . . . . . . . . . I— X
2. — Д. З. Бакрадзе . . . . . . . . . . . . XI—XII

**Законы грузинскіе:**

3. Законы царя Вахтанга . . . . . . . . . . . . . 1— 80
4. — — Георгія . . . . . . . . . . . . . 81— 94
5. — атабега Агбуги . . . . . . . . . . . . 95—128
6. — католикосовы . . . . . . . . . . . . 129—133
7. Приложенія . . . . . . . . . . . . . . 134—144

**Законы иностранные:**

8. Законы Моисеевы . . . . . . . . . . . . 145—157
9. — греческіе . . . . . . . . . . . . 158—229
10. — армянскіе . . . . . . . . . . . . 230—35
11. Приложенія . . . . . . . . . . . . . 351—364

**Законны, собранные при русс. управ.:**

12. Обычаи, веденные при грузинскихъ царяхъ закономъ . . . . . . . . . . . . . 365—382
13. Приложенія . . . . . . . . . . . . . 383—387
14. Поправки и добавленія . . . . . . . . . 388—394
15. Оглавленія . . . . . . . . . . . . . 395—423


Доз. цен. Тиф. 12 октября, 1887 г Типографія Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ